№ 230 ოქტომბერი 25, შაბათი 1886 ოქტომბერი 25 შაბათი № 230

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზე, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ქართული თეატრი

კვირას, 26 ღვინობისთვეს,

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

ხათაბალა

კომედია 4 მოქმედ. და 6 სურათად, გაბრ. სუნდუკიანცისა.

მოთამაშენი: ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვი-აბაშიძისა, ლეონიძისა, ტარიელოვისა; ბბ. აბაშიძე, აწყურელი, ალექსეევ-მესხიევი და მაქსიმიძე.

დასაწყისი 7½ საათზე

გორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში ქ. გორში, პირველს ნოემბერს 1886 წ., ორ საათზედ, დანიშნულია ვაჭრობა, განმეორებით, სამ დღეს შემდეგ, ზეპირი და დაბეჭდილ კონვერტში განცხადებებით, შესახებ შენობეებისა, რომელნიც უნდა აშენდნენ გორის სასულიერო სასწავლებლისათვის და რომელთა ასაშენებლადაც დანიშნულია (68,194 მან. და 20 კ.) სამოც-და-რვა-ათას-ას-ოთხმოც-და-თოთხმეტი მანათი და ერთი აბაზი. პირობანი ამა ვაჭრობისანი და სმეტა შენობეებისა მსურველთ შეუძლიანთ ნახონ სასწავლებლის სამმართველოში და ექსარხოსის კანცელარიაში. სასწავლებლის სამმართველოში სმეტა და პირობანი მსურველთ შეუძლიანთ იხილონ ყოველ-დღე, თვინიერ კვირა-უქმისა, დილის რვა საათიდგან საღამოს ორ საათამდინ.

ვაჭრობის მსურველნი მოვალენი არიან ვაჭრობის დღის თორმეტ საათამდინ შემოიტანონ სასწავლებლის სამმართველოში განცხადება მასზედ, რომ მიუშვან იგინი სავაჭროდ და მასზედა, რომ მათ სურთ აიღონ ფოდრათი პირობათა თანახმად. (1—1)

ტფილისი, 24 ოქტომბერი

ჩვენ ამას წინადა ვსთქვით, რომ სახელმწიფო სამინისტროს მიერ სამზღვარ გარედ გაგზავნილებმა აბრეშუმის საქმის სასწავლებლად უკვე წარუდგინეს სამინისტროს ანგარიში თავისის მოგზაურობისა და რაც ენახათ და ემცნათ, ყოველივე წერილით მოახსენეს. ისიცა ვსთქვით, რომ ერთს გაგზავნილთაგანს პროექტიც შეუდგენია მასზედ თუ,—როგორ უნდა მოეწყოს აბრეშუმის ხელ-ახლად აღორძინების საქმე კავკასიაში, რომელსაც პროექტის დამწერი დიდად აქებს, როგორც ადგილს, მეტად კარგის და ბევრის აბრეშუმის მომცემსა. იგი პროექტი სამინისტროს მოსკოვის კამიტეტისათვის გარდაუცია განსახილველად.

ჩვენ გვიკვირს ეს ამბავი. თუ ტფილისში მართლა არსებობს ტფილისის კამიტეტი აბრეშუმის საქმის მოვლისა და პატრონობისათვის, ნუ თუ უფრო უპრიანი არ იყო ამ კამიტეტისათვის გარდაეცათ განსახილველად იგი პროექტი და არა მოსკოვისათვის. ქართველები იტყვიან: „შინ რომ ბაღლები ტიროდნენ, გარედ ტაბლას რა უნდაო“. სწორედ ასე მოსვლია ამ პროექტსაც. ტფილისის კამიტეტი, თუ მართლა არის სადმე, უფრო კარგად არ განიხილავდა იმ საქმეს, რომელიც შეეხება კავკასიას, ვიდრე მოსკოვისა? ამას უფრო კარგად არ უნდა სცოდნოდა, სად რა სტკივა და რა წამალია საჭირო, ვიდრე მოსკოვისას? ეგ სწორედ იმასა ჰგავს, პეტრე იყოს მკურნალი და ივანეს კი მაჯას ამინჯვინებდნენ.

ესეა თუ არა, იგი პროექტი მოსკოვის კამიტეტს უკვე გაუხილნია და დედა-აზრი პროექტისა დაუწუნებია. პროექტი იმაზეა თურმე აგებული, რომ აბრეშუმის მოყვანის და კეთების საქმეში სრულად მოსპოს კერძო კაცთა მეცადინეობა, კერძო კაცთა წარმოება და მთავრობამ მიიღოს თვის «ოპეკის» ქვეშ მთელი ეს საქმე და ყოველივე მისი წვლილი. ეს აზრი ახალი არ არის და ევროპაში ნაცადია, მაგრამ თავი ვერსად ვერ დაიჭირა, რადგანაც კერძო კაცთა წარმოება შეჰხუთა და ვერც მთავრობამ ახეირა. იყო დრო, მაგალითებრ, საფრანგეთში, როცა ეგ „ოპეკა“ მთავრობისა ისე იყო გაძლიერებული, რომ თითქმის ყოველ ხელოსნობას დაჰჭყურებდა და ხელმძღვანელობდა თვითონ მთავრობა. ამან მალე იჩინა თავისი უეჭველი სიკეთე: კერძო წარმოება შეიხუთა და ვერც მთავრობა გახდა რასმე, იმიტომ-რომ წარმოებამ იკლო როგორც ბარაქიანობითა, ისეც ღირსებითა და სიკეთითა. ამის მნახველმა მთავრობამ მოსპო ეს მავნებელი სისტემა და იმის მაგიერ, რომ თითონ დაეჭირა კვლავაც ხელში საქმე, აიღო და მთელი თავისი მეცადინეობა იმას მიაქცია, რომ კერძო კაცთა ხელსა და მეთაურობას ამისთანა საქმეში ფართო გზა გაუხსნა და შემწეობა მიაშველა. დღევანდელი განდიდებული და გაძლიერებული წარმოება და მრეწველობა საფრანგეთისა იმის ნიშანია, რომ ამ უკანასკნელს ღონეს ბევრი რამ შესძლებია.

მოსკოვის კამიტეტსაც დაუწუნებია მეპროექტესაგან ქადებული და არჩეული სისტემა. ამ კამიტეტის აზრით, ეგ სახელმწიფო „ოპეკის“ გაძლიერება კი არ არის საჭირო, პირ-იქით გაძლიერება სასურველია კერძო კაცთა მეცადინეობისაო. კერძო კაცთა მეთაურობას და მომჭირნეობას დიდი გზა უნდა მიეცესო და მთავრობამ არავითარი ღონისძიება არ უნდა დაიშუროს, რომ იქაურს (კავკასიელთ) აბრეშუმის მწარმოებელთა შეაძენინოს ის ჭეშმარიტი ცოდნა საქმისა, რომელიც თავმდებია ყოველ საქმის წარმატებისა საზოგადოდ და აბრეშუმისა ცალკეო; მაგალითებრ: როგორ უნდა მოუარონ ჭიას, როგორ უნდა უპატრონონ პარკსა, როგორ უნ-

---

ფელეტონი

უცხოთა შორის

ჩვენი დიდიხნის მეზობლები—სპარსელები.—განათლებული, „გაევროპიელებული“ სპარსელი.—რა გავლენა იქონია ევროპამ სპარსელებზე?—მზრუნველი ახუნდი.—რით მოაქვს მდიდარს სპარსელს თავი?—„ვარსკვლავმა“ როგორ დაამარცხა „მთვარე“?—სპარსელების ჰარამ-ხანა.—როგორ ატარებენ დროს ჰარამ-ხანაში?—„მუტრიბნი“ და მოთამაშენი.—როგორ ეშმაკობენ ჰარამ-ხანაში დამწყვდეულნი და როგორ ატყუებენ თავის „აღასა“?—დატყვევებული შეგირდი კალატოზისა.—როგორ დაიარებიან სპარსელის ქალები ევროპიელებთან?—ერთგული ხოჯა.—ოცის ქმრის ცოლი.—დასკვნა.

დღეს ჩვენ გვსურს მოველაპარაკოთ მკითხველებს იმ ქვეყანაზე, რომელიც ძველის დროიდამვე ჩვენი მოსაზღვრე იყო, იმ ერზე, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე, იმ ერზე, რომლის წარსული და ჩვენი სვე-ბედი ერთად შეხვდნენ საისტორიო გზაზედ. ჩვენ ვამბობთ ჩვენს ძველ მეზობლებზე—სპარსელებზე. რასაკვირველია, ჩვენ აქ არ გამოვუდგებით სპარსეთის პოლიტიკის აღწერას. წავიდა ის დრო, როდესაც სპარსეთი შიშის ზარსა სცემდა და აოხრებდა ხოლმე ჩვენს ქვეყანას. გაჰქრა პოლიტიკური ღონე და ძლიერება სპარსეთისა, დღეს სპარსეთი ერთს სუსტს და უმნიშვნელო სახელმწიფოს-ღა წარმოადგენს. ამიტომ სპარსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ლაპარაკს დიდი მნიშვნელობა არა აქვს; უფრო ყურადღების ღირსია სპარსელების შინაური და საზოგადოებრივი ცხოვრება. სპარსელების ცხოვრებას ამ მხრივ სრულიად განსაკუთრებული ფერი აძევს; ამათის ცხოვრების მოწყობილება, ადათი, ჩვეულება დიდად განსხვავდება, არა ჰგავს ჩვენს ცხოვრებას.

* * *

მართალია, სპარსეთშიაც დღეს ცოტაოდენად ფეხი შეუდგამს ევროპიის ცივილიზაციას, მაგრამ რა გვარია ეს ცივილიზაცია და რა ცვლილება მოუხდენია სპარსელების ცხოვრებაში?

დღეს, მაგალითად, ხშირად შეჰხვდებით, რომ სპარსელი ფრანგულ ენას ჰლაპარაკობს, სპარსულ ტანისამოსს ევროპიულზე სცვლის, ძველებურ საკინძიან პერანგის მაგიერ გახამებულ პერანგს იცვამს, წაღებს პარიჟიდამ იბარებს. სახლი განათლებულს სპარსელს დღეს ევროპიულად აქვს აშენებული, მოწყობილი და მორთული. „გაევროპიელებული“ სპარსელი ყველაფერში ევროპიელსა ჰბაძავს: უწინდებურად შინ აღარ იკეტება, დადის ევროპიელებთან სახლში, თვითონაც იპატიჟებს, სტუმრობას, მდიდარ სადილებს უმართავს, იკვეთავს ჟურნალებს, გაზეთებს, რომელიც, რასაკვირველია, უმეტესად გაუჭრელი და წაუკითხავი უწყვია სტოლებზე ოთახების დასამშვენებლად.

ნამდვილ, ძველებურ, სპარსელების გემოვნებაზე სახლის მოწყობილობას და მორთულობას, ხალებით და ტახტებით, დღეს თვით სპარსეთის სატახტო ქალაქში, თეირანშიაც თურმე იშვიათად შეჰხვდება კაცი. ამას თუ მისდევს კიდევ ვინმე, მხოლოდ ნამდვილი ძველის დროის მიმდევარი სპარსელი, რომელიც მტკიცედ იცავს თავის ეროვნულს ჩვეულებას, სახეს და რომელსაც სიტყვა „ევროპიელი“ გასაგონადაც სძულს.

* * *

ასეთი ცვლილება მოუხდენია სპარსელის ცხოვრებაში, ასეთი ფერი დაუდვია სპარსელისათვის ევროპის ცივილიზაციას. ჩამოჰწმინდეთ, ჩამოჰრეცხეთ სპარსელს ეს გარედამ ოდნავ წაცხებული ფერი და თქვენ წინ წარმოსდგება სპარსელი ისეთივე, იმავე ნაკლულევანებით, იმავე ჩვეულებით, როგორც ძველის ძველად ყოფილა. სპარსელი სახეს იცვლის, ივიწყებს იმას, რაც დასავიწყარი არ არის და იმას კი მტკიცედ იცავს და ძალიან უფრთხილდება, რის შეცვლაც მართლა საჭიროა, რომ ცხოვრებას ნამდვილი ადამიანური სახე მიეცეს. სპარსელს, რაც უნდა განათლებული იყოს, მაინც ვერ დაარწმუნებთ, რომ დედა-კაციც ისეთივე ადამიანია, როგორც მამა-კაცი, რომ დედა-კაცსაც ადამიანურის ცხოვრების მოთხოვნილება და უფლება აქვს. თვით განათლებული, „გაევროპიებული“ სპარსელი თავის თავს ბატონად, მბრძანებლად სთვლის და დედა-კაცს კი მონად, რომელიც ხმის ამოუღებლად უნდა ემორჩილებოდეს თავის მბძანებელს და ასრულებდეს მის ნებასა და სურვილს განუსჯელად. დედა-კაცი იმის თვალში ნივთია, რომელსაც მამა-კაცი თავის სიამოვნებისთვის ინახავს. რასაკვირველია, რაც უფრო ბევრი აქვს კაცს იმისთანა ნივთი, რომელიც სიამოვნებას აძლევს, მით უფრო უკეთესია. ამიტომ არის გავრცელებული სპარსეთში ბევრის ცოლის ყოლა. კანონი სრულს ნებას აძლევს სპარსელს იყოლიოს რამდენიც უნდა ცოლი, ან ხასა; ეს მხოლოდ შეძლებაზე ჰკიდია, რადგანაც კაცმა ქალი, როგორც ნივთი, უნდა იყიდოს და შეინახოს ცხრა კლიტით დაკეტილს ოთახში. სპარსელის მუდმივი სურვილი ის არის, რაც შეიძლება, ბლომად იქონიოს ასეთი სასიამოვნო ნივთი. და აი ჩაუვარდება თუ არა სპარსელს ხელში ერთი ორი გროში მეტი, მაშინვე ამის სახლსაც უთუოდ მოემატება რომელიმე „მთვარე“, «ვარსკვლავი», «მზე», „თუთიყუში“. ასეთ პოეტურ და არა-პოეტურს სახელებს აძლევენ სპარსელები თავიანთ ახლად შემოყვანილს ცოლებსა.

მაგალითად, რუსეთის საელჩოში აჩემებული ჰყავნდათ ერთი ახუნდი, მასწავლებელი, რომლისაგანაც საელჩოს მოხელენი სპარსულს სწავლობდნენ. მოვიდოდა თუ არა ახალი ვინმე მოხელე საელჩოში, მაშინვე ამ ახუნდს მიჰმართავდა სპარსულის ენის სასწავლებლად. რამწამ ახალი შეგირდი გამოუჩნდებოდა ჩვენს ახუნდს და იმით ამის შემოსავალს ორიოდე გროში მოემატებოდა, მაშინვე იმის სახლსაც რომელიმე „მთვარე“, ან „ვარსკვლავი“ მოემატებოდა. ამ გვარად ახუნდს, რომელსაც წინად ერთის ცოლის მეტი არა ჰყავნდა თურმე, სახლი ცოლებით გაევსო. როდესაც ახუნდსა ჰკითხავდნენ ხოლმე: „რა ეშმაკად გინდა მაგდენი ცოლი, რა დიდი შეძლება შენა გაქვს, რომ კიდევ მაგდენ საპალნეს იკიდებო?“ —ის დინჯად და დალაგებით უპასუხებდა ხოლმე: „მაშ ჩემის სიკვდილის შემდეგ ჩემი წიგნები ვის უნდა დარჩესო!“ ახუნდის მთელი სამკვიდრებელი და ავლადიდება კი მხოლოდ ათიოდე წიგნი იყო!...

* * *

მართალია, ხშირად შეჰხვდებით, მეტადრე ამ ბოლოს დროს და ისიც უფრო დიდ კაცობაში, რომ სპარსელს მარტო ერთი ცოლი ჰყავს, მაგრამ ესეც მაშინ მოხდება ხოლმე, როდესაც კაცს ქალი ძრიელ შეუყვარებია, ან ქალის დედ-მამას პირობად დაუდვია საქმროსათვის, რომ ერთს ცოლზე მეტი არ იყოლიოს. თვით

და აგეთონ ყაჭი, როგორ უნდა დაართან და სხვა ამისთანა. გარდა ამისა მთავრობამ უნდა იმეცადინოს, რომ იქაურებს კარგი თესლი ჭიისა მიაწოდოს, რადგანაც დაცემა კავკასიის აბრეშუმის საქმისა კარგის თესლის უქონლობას უფრო უნდა დაჰბრალდეს, ვიდრე სხვა რასმეო. ამ საქმეს ხელს შეუწყობსო, ამბობს კამიტეტი, „ცენტრალური სტანცია“ მთავრობისა, რომელიც გარდა იმისა, რომ ეცდება რამდენიმე ფუთი კარგი თესლი ჭიისა იქონიოს, დავალებული უნდა იყოს ასწავლიდეს ყველას, ვინც კი მოისურვებს, ჭიის რიგიანად გაზდასა, მოვლას, პატრონობას, ყაჭის გამოხდას, შულოს კეთებას და ამ გზით მოამზადოს ხოლმე იმისთანა კაცნი, რომელთაც მერე შეეძლოთ ხელმძღვანელობა გაუწიონ კერძო კაცთა წარმოებასა. რადგანაც რაც უფრო ბევრი იქნება ამისთანა საწრთვნელი და სასწავლებელი, მით უფრო კარგია, ამიტომ სასურველიაო, ამბობს კამიტეტი, რომ ბევრგან გაიმართოს განყოფილებანი ამ „უმთავრესის სტანციისაო“ და ნამეტნავად იმ ადგილებში, საცა მკვიდრნი უფრო ძლიერ მისდევენ აბრეშუმის საქმესაო. ეს განყოფილებანი მით უფრო საჭირონი არიანო, რომ „ცენტრალურს სტანციას“ აპირობენ გამართვას ტფილისში, რომელიც საადმინისტრაციო შუა-გულია და არა აბრეშუმის წარმოებისაო.

სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო უკვე დასთანხმებია მოსკოვის კამიტეტსა და მიუნდვია პირვანდელ პროექტის დამწერისათვის, წავიდეს კავკასიაში, იქაური გარემოება ინახულოს და შეადგინოს პროექტი «საცენტრო სტანციის» შენობისა. ეს პროექტი უკვე შეუდგენიათ და ხელ-ახლად ისინჯება კამიტეტში, რასაკვირველია, მოსკოვისაში და არა ტფილისისაში. ამბობენ, რომ ამ „სტანციის“ მოქმედება დაიწყება მომავალ გაზაფხულზეო. გაზეთი, საიდამაც ეს ცნობები ამოვკრიფეთ, ესე ათავებს თავის წერილსა:

> „სასურველია, რომ იგინი, ვისაც ამ საქმეს ჩააბარებენ, ეცადნენ ყოველივე იგი შეცდომა აიცდინონ, რომელიც თან ზდევს ხოლმე ყოველს ახალს საქმესა და რომელსაც მით არა ნაკლებ დიდი ვნება მოაქვს შემდეგში. მით უფრო სასურველია ეს, რომ კავკასიის მკვიდრნი უნდობელის თვალით უყურებენ ხოლმე ყოველს ახალსა. ერთი უმთავრესი მოვალეობა „საცენტრო სტანციისა“ ის უნდა იყოს, რომ იქაურების ნდობა მოიპოვოს. რაკი ეს ნდობა ექმნება, გამარჯვება თვითონ საქმისა უეჭველია“.

ჩვენც ამასვე ვისურვებთ. მაგრამ არა ერთხელ მომხდარა, რომ სურვილი გულში „უქმად გვრჩომია“. ყველა ყველა და მაინც ღირსია კაცმა იკითხოს: ტფილისის კამიტეტი სად იყო, როცა ყოველი ეს მისდა დაუკითხავად კეთდებოდა? მოდით და ნუ მოგაგონდებათ «ჭრიჭინა და ჭიანჭველას» ამბავი.

ახალი ამბავი

⁂ ხვალ, კვირას, ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება სუნდუკიანცის კომედია „ხათაბალა“. როლები ამ საუცხოვო პიესისა სულ სხვაფრივ იქნება განაწილებული, ვიდრე აქამდე იყო ხოლმე: გერასიმ იაკულიჩ ზამბახოვის როლს აასრულებს ბ-ნი აბაშიძე (ადრე ასრულებდნენ კ. ყიფიანი, ი. ცაგარელი და სხვ.), და ისაიას როლს-კი, რომელსაც ადრე თამაშობდა ხოლმე ბ-ნი აბაშიძე, ეხლა ითამაშებს ბ-ნი აწყურელი. ეს წარმოდგენა მეტად საინტერესო წარმოდგენა იქმნება. ჯერ იმიტომ, რომ თვით პიესა ერთი საუკეთესო პიესაა ჩვენის ნიჭიერის დრამატურგისა ბ-ნ გ. ნ. სუნდუკიანცისა და მერე კიდევ იმიტომ—რომ ბ-ნი აბაშიძე ითამაშებს უმთავრესს როლს პიესაში, ხოლო იმის როლს, სახელდობრ ისაიისას — ისეთი ახალგაზდა ნიჭიერი არტისტი, როგორიც არის ბ-ნი აწყურელი. საინტერესო იქნება, შევადაროთ თამაშობა ზამბახოვის როლისა აბაშიძისა და კ. ყიფიანის მიერ და აგრეთვე ისაიის როლისა — აბაშიძისა და აწყურელის მიერ. ჩვენ გვგონია, რომ დრამატიულს კომიტეტს ძალიან კარგად გაუნაწილებია როლები და სრული იმედი გვაქვს, რომ აბაშიძეცა და აწყურელიცა სრულს თავის ნიჭს გამოიჩენენ და თუ არ უკეთესად, ნაკლებად არ ითამაშებენ, ვიდრე წინანდელნი ამსრულებელნი ამ როლებისა, ესე იგი, აბაშიძე ყიფიანს არ ჩამოუვარდება და აწყურელი კიდევ—აბაშიძეს.

⁂ სიღნაღიდამ გვწერენ: გუშინ, ოქტომბრის 19, ზამთარმა თავი მოგვაგონა. დილიდამ საღამომდის თოვლჭყაპი მოდიოდა გადაუღებლივ. ბარად-კი ვერ მოიკიდა ფეხი თოვლმა, მაგრამ ცივ-გომბორის მთა-კი შემოსა თეთრად. წუხელ სოფლადაც მინდვრებში კოჭამდის თოვლი დასდო.

⁂ ქართლის ზოგიერთს სოფელში ჯერაც არ განელებულა თურმე საქონლის ჭირი. სოფელს ტყვიავში, მაგალითად, სამ თვეზე მეტია მძვინვარებს ეს ხალხის დამღუპველი სნეულება პირუტყვისა. ამ ხნის განმავლობაში 180 სული საქონელი მოკლა ჭირმა მარტო ამ სოფელშიო.

⁂ ქართლიდამვე გვწერენ, რომ გლეხ-კაცობა ამ ჟამად ძალიან გაჭირებულს მდგომარეობაშიაო. ზამთარი ძალიან ადრე მოგვადგა კარს. სიმინდები არ მოუჭრიათ ჯერ ლიახვის ხეობაზე და თოვლი კი დასდო მინდვრებშიო. თოვლმა ძალიან დაასველა დედა-მიწა და ახლა იმას უნდა ვუცადოთ, როდის აჰკრებს თოვლსა და იმდენად გაშრება მიწა, რომ ფარცხის გატანა შეიძლებოდესო. ფარცხს კიდევ გავიტანთ, მაგრამ რითი, რომ საქონელი აღარა გვყავს და რაცა გვყავს, ძლივს დალასლასებს მეტისმეტის მუშაობისა და ჯაფისაგანაო.

⁂ ბ-ნს ერმოლოვს გამოუცხადებია ნავთის მწარმოებელთათვის ბაქოში, რომ მთავრობამ უკვე გადასწყვიტა ბაჟი შემოიღოს ნავთზედაო, მხოლოდ ის-კი არ გადაუწყვეტია, რა გვარად და რა წესით უფრო მოსახერხებელი იქმნება ამ ახალის გარდასახადის შემოღებაო.

⁂ ამბობენ, ვითომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს აბრეშუმის მოყვანის საქმე კავკასიასა და საქართველოში თვით აიღოს ხელში, თვით იზრუნოს ამ საგანზე და ამ გვარად მოსპოს სრულიად კერძოდ წარმოება ამ საქმისაო. ამაზე გაზ. «ნოვ. ობოზ.» ამბობს, რომ ამ გვარად საქმეში ჩარევა მთავრობისა კეთილს არ დააყრის აბრეშუმის მოყვანის საქმესაო. მზრუნველობა მთავრობისა უფრო შეაფერხებს საქმეს, ვიდრე უშველის რასმეო. მაინც საჭიროა, რომ თუ მთავრობას განზრახვა აქვს აბრეშუმის მრეწველობას უშველოს, თვით მრეწველთ დაეკითხოს, როგორ სჯობიან ამ საქმის წინ წაწევა და განკარგებაო.

⁂ სტატს-სეკრეტარი და წევრი სახელმწიფო საბჭოსი ბარონი ნიკოლაი 21 ოქტომბერს წასულა ბაქოში და აზრადა აქვს ნავთის წარმოების საქმე შეისწავლოს ადგილობრივაო, ამბობს გაზ. «კავკაზი».

⁂ მოსკოვის საზოგადოებას ბუნების მეტყველებისას, ანტროპოლოგისა და ეტნოგრაფიის მოყვარულთა ჰქონიათ 15 ოქტომბერს წლიური კრება და დაუდგენიათ, რომ კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველს ბ-ნს იანოვსკის საპატიო ადრესი მიართვათ იმ ღვაწლისათვის, რომელიც მან დასდო ჩვენს საზოგადოებასაო.

⁂ 22 ოქტომბერს, როგორც ამბობს გაზ. «კავკაზი», უკურთხებიათ ახალი სახლი, რომელიც მიშენებულ იქმნა 1 კლასიკურ გიმნაზიასთან. ეს სახლი წარმოადგენს დიდს დარბაზს, რომელშიაც დაეტევა 700-მდე კაციო. დარბაზი კარგად არის მოწყობილი და სხვათა-შორის ის დანიშნულებაც ექმნება, რომ შიგ გაიმართება ლექციების კითხვა მდაბიო ხალხისათვისაო.

⁂ გაზ. „ნოვ. ობოზ.“ ამბობს: ჩვენ გავიგონეთ, რომ მინისტრთა კომიტეტს დაუმტკიცებია წესდება საქალაქო გამსესხებელის კანტორისა. ეს კანტორა უთუოდ ახალ წლიდამ თუ გაიმართება და დაიწყებს თავის მოქმედებასაო.

⁂ ბათუმის სახელმწიფო ბანკის განყოფილებას უკვე დაუწყვია თავისი მოქმედება ამ თვეის 21-დამ.

⁂ ტაინი სოვეტნიკს გალკინი ვრასკის შეუდგენია პროექტი იმის თაობაზე, რომ ციხენი და საპყრობილენი სხვაფრივ მოეწყოს კავკასიაში. ეს პროექტი მინისტრთა კომიტეტს უკვე დაუმტკიცებია. როგორც ჩვენ გავიგეთო, ამბობს გაზ. „Рус. Курьеръ“-ი, მერმის შეუდგებიან აშენებას ცალკე საკატორგო ციხისასა და ორის სატუსაღო განყოფილებისას ჩრდილოსა და ამიერ კავკასიაშიო. ამ საქმისათვის ფული უკვე გადადებულიაო. გადაწყვეტილია აგრეთვე, რომ ციხეებად გადააკეთონ ზოგიერთი თავისუფალი სახლები სამხედრო უწყებისაო.

ხალხის თვალში კი, რაც კაცს უფრო მეტი ცოლი, ან ხასა ჰყავს, მით უფრო მეტი სახელი და პატივი აქვს.

მაგალითად, ხშირად შეჰხვდებით, რომ ქუჩაში ნელ-ნელა მიდის რამდენიმე ეტლი, ჩადრებში გახვეულ და პირ-ბად ჩამოფარებულ ქალებით გავსებული. ეტლებს თან მისდევენ ხოჯები, მსახურები ქალი თუ კაცი. სპარსელები, რომელთაც ძრიელ მოსწონთ ამ გვარი «თამაშა», ამ შემთხვევაში უთუოდ იკითხვენ:

— ეს ვისი ცოლები არიანო?

ან კიდევ ყურს მოჰკრავთ ამისთანა სიტყვებს:

— ბევრი ცოლი ჰყავს ამა-და-ამ აბდულას ან აბაზს?

— ეჰ, ბევრი არაფერი, სულ ორი თუ სამი ცოლი ეყოლებაო?...

ამას ისეთის კილოთი ამბობენ, რომ თითქოს ის კაცი, რომელსაც მარტო ორი ან სამი ცოლი ჰყავს, რა კაცია, ლაპარაკადაც არა ჰღირსო.

⁂

ამიტომ სპარსელსაც დიდად მოაქვს თავი, როდესაც ბევრი ცოლი ჰყავს. თუმცა ცოლი სპარსელისთვის არც ნუგეშია, არც მეგობარი, არც მეუღლე ცხოვრებისა. სპარსელი ცოლს არც თავის დარდს გაუზიარებს, არც საქმეში რჩევასა სთხოვს, არც არასფერში დაეკითხება. სპარსელი თავის ცოლებთან ერთად არც კი ცხოვრობს, ხშირად კვირაში ერთხელაც ძლივ მოუხდება ცოლის ნახვა და მხოლოდ ხოჯების პირით იკითხავს, როცა მოისურვებს, ცოლების ამბავს.

როდესაც სპარსელი მოიწადინებს თავის ცოლთან დროს გატარებას, ხოჯას ბძანებას აძლევს: ამაღამ ეს და ეს ცოლი მოვიდეს ჩემთანაო. ეს ამბავი ყველა ცოლს დიდ ბედნიერებად მიაჩნია და ყოველთვის შურით უყურებენ იმას, რომელსაც ეს ბედი წილად შეჰხვდება. მეტადრე თუ „ბატონი“ ერთს რომელსამე ამოირჩევს, —მეტს ყურადღებას აქცევს და ხშირად იბარებს თავისთან, მაშინ ხომ შუღლს, მტრობას და შურის-ძიებას სამზღვარი აღარა აქვს. ყველანი ერთად პირობასა ჰკვრენ და ყოველ ღონის-ძიებასა ხმარობენ, რომ «საყვარელი ცოლი» «ბატონს» როგორმე შეაძულონ. მაგალითად, აი რა გვარს ამბავს მოგვითხრობენ.

ვსთქვათ, ერთს საღამოს ხოჯა აუწყებს „მთვარეს“, რომ ამაღამ „აღა“ გიბარებსო. ამ ამბავს ფიცხლავ ყველა ცოლები შეიტყობენ. აი მოილაპარაკეს, პირობა შეჰკრეს და „ვარსკვლავს“ მიანდეს, „მთვარეს“ რაიმე მახე დაუგეო. „ვარსკვლავი“ შეეჭიდა „მთვარეს“ და კიდეც დაამარცხა. „ვარსკვლავმა“ სამოცი თუმანი აღუთქვა «მთვარეს» ქრთამად, ოღონდ ამაღამ მე დამითმე აღასთან წასვლა. „მთვარე“ დაჰხარბდა ფულს და თანაც იმის იმედი ჰქონდა, რომ „აღას“ დაავიწყდებოდა თავისი ბძანება და ვერაფერს გაიგებსო. მაგრამ „მთვარე შესცდა: «აღამ» გაიგო ეს ამბავი და «მთვარე» მეორე დღესვე სახლიდამ გააგდო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავის „აღის“ ბძანება არ აასრულა, და მეორე კიდევ იმიტომ, რომ რაღაც სამოცი თუმანი არჩია «ბატონის» წყალობის თვალით ნახვასა. ასე სასტიკად ექცევა სპარსელი თავის ცოლებს, თუ იმის ამ გვარს წყალობას უკადრისად ექცევიან.

⁂

სპარსელი, როგორც ზემოდა ვსთქვით, თავის ცოლებთან ერთად არა ცხოვრობს. სპარსელის სახლი ყოველთვის ორად არის გაყოფილი: ერთში თვით „აღა“ ცხოვრობს, მეორეში ცოლები. ცოლი და ქმარი ასე ყოველთვის განცალკევებულნი არიან.

ქალების ცალკე სადგომს სპარსელები ჰარამ-ხანას უწოდებენ. ჰარამ-ხანა ხელ შეუხებელი „წმინდათა წმინდაა“, სადაც უცხო კაცს ფეხის შედგმა არ შეუძლიან. ვინც ჰარამ-ხანაში შესვლას გაჰბედავს, თუ არ ქმარი და ზოგიერთი ახლო ნათესავი, კანონი სასტიკადა სჯის.

ჰარამ-ხანა უმეტესს ნაწილად განცალკევებული სახლია, მაგარის და მაღალის გალავნით შემოზღუდული. გარდა ამისა ყოველს კარებში, მუდმივ „აღის“ ერთგული დარაჯი, ჩამომხმარი, გაყვითლებული, სიცოცხლეს და სისხლ მოკლებული ხოჯა სდგას მათრახით ხელში და ვაი იმას, ვინც მეტს ცნობის-მოყვარეობას გამოიჩენს და ჰარამ-ხანიდამ უდროვოდ გამოხედვას მოინდომებს.

დღითი-დღე და წლითი-წლობამდე ასე მაგრად შეკეტილი და დამწყვდეული უსაქმოდ ატარებს დროს სპარსელის ცოლი, ან ხასა. ან კი რა გააკეთოს, როდესაც თავს აუარებელი გოგო-ბიჭი ახვევია საქმის გასაკეთებლად. სხვა რაღა დაჰრჩომია ცხოვრებაში საწყალ, ამ გვარად დამწყვდეულს ქალსა? ჭამა-სმა, დროების გატარება, გართობა და არშიყობა თავის «ბატონთან», ესეც მაშინ, თუ ქმარი აღირსებს და თავისთან მიიწვევს.

მხიარულობის, თამაშის, დროების გატარების ნება კი აქვთ მიცემული ქალებს ჰარამ-ხანაში. მხოლოდ აქაც ერთი ჩვეულება უშლით საწყლებს ხელსა: ცეკვა და თამაშობა დიდ-კაცის ცოლის ღირსებას ამცირებს. ამიტომ, როდესაც ჰარამ-ხანაში სტუმრობაა და დროს გატარება უნდათ, საცეკვაოდ, სამღერლად სხვებს მოიწვევენ ხოლმე. სპარსეთში ერთ გვარი „მოთამაშენი“ არიან, რომელნიც ამ გვარ შემთხვევაში ფასით ჰთამაშობენ ხოლმე. ჩვენში ამათ ჩანგებს ეძახიან. «მოცეკვავეებს» თან დასდევენ ყოველთვის მუტრიბნი და მომღერალნი, — «მოცეკვენი» და მომღერალნი კაცებიც არიან, მაგრამ უფრო ხშირად კი დედაკაცები და პატარა ყმაწვილები, ქალი თუ ვაჟი.

ყველას, ვისაც კი უნახავს ეს „მოცეკვენი“, დიდად მოსწონს ამათი მოხდენილი, კეკლუცი, სიცოცხლით სავსე თამაშობა. ამიტომ ჩვენც გვინდა ჩვენს მკითხველებს ვაუწყოთ ამათი ხელოვნება. აი ერთი თავის საკუთარის თვალით მნახველი როგორ აგვიწერს ამათ თამაშობას:

„დაჰკრეს ნაღარა, დაირა, მომღერალმა ხმა მაღლა დასძახა და სხვა საკრავებმაც ხმა მისცეს. ამ დროს უცბად გამოვარდა შუაში ერთი პატარა ქალი, რამდენჯერმე დატრიალდა ერთს ადგილას და აქეთ-იქით ყურება დაიწყო, თითქოს თვალებით ვიღასაც ეძებსო. მერე ხელები მაღლა აიყარა, დააჟღარუნა ეჟვნები, რომელიც თითებზე ჰქონდა გაკეთებული, დატრიალდა ერთს ადგილას და გაშეშდა, — მხოლოდ კაბის მოკლე კალთები-ღა ეძეროდა, მარაოსავით ჰაერში გაშლილი. მარტო ეს გვარწმუნებდა, რომ ქალი ჰტრიალებს, თორემ გვეგონებოდათ, ერთს ადგილასა დგას უძრავადო. მერე ერთბაშად დაიკივლა, გახტა და თავდაყირამალა გადატრიალდა. დადგა, მთელი ტანი როგორღაც გადაიწია, თვალს უშვრებოდა მეორე პატარა ქალს, ხელს უქნევდა, თითქოს ეარშიყებაო. არშიყიც მიჰხვდა და გამოვიდა. გამოვარდა 11 წლის ქალი და კეკლუცად, თავ-მომწონედ, ეჟვნების ჟღარუნით აჰყვა იმ ქალს, რომელიც მითამ არა ჰნებდება, ხან

ნაკვესი

ქრთამა ქალმა უსაყვედურა აგაის:

— „შენი სიტყვები ლოდივით მაწვას გულზედ!

— რა ვქნა, ბატონო!.. მე მაინც ვერ დავიმუნჯებ თავსა! — ნეტავი სულაც ჩემ სიტყვებად გადამაქციათ. მიუგო აგამ.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ვლადიკავკავი, 15 ღვინობისთვეს. ჩვენი ყველასაგან პატივცემული ბატონი მიხეილ გრიგოლის ძე ჯომარჯიძე, სარდალი კავკასიის მეორე რაზმისა, უმაღლესის ბრძანებით დაინიშნა სამხედრო საბჭოს წევრად პეტერბურგში.

რა წამსაც შეიტყეს ეს უცებ მოხდარი ამბავი, მაშინვე ყველა იმის ხელ-ქვეით მსახურთ მოისურვეს, რომ რითმე აღენიშნათ ეს შემთხვევა. ბატონ ჯომარჯიძის მარადის კეთილად მოსახსენებლად მის რაზმის აფიცრობამ განაწესა, რომ ჯომარჯიძის სახელობით ყოველთვის იზრდებოდეს ერთი ყმაწვილი იმ სასწავლებელში, საცა ისურვებს თვითონ მიხეილ გრიგოლის ძე. ამისათვის მსწრაფად მოაგროვეს 4,000 მანათზედ მეტი, რომლის სარგებლითაც უნდა დაწესდეს ზემოხსენებული სტიპენდია.

ამას გარდა ბევრმა მისმა ნაცნობმა და მეგობარმა გულ-მოდგინებით გამოაცხადა სურვილი, რომ კახურის ღვინით დაეულოცოთ ბატონს ჯომარჯიძეს გზა და ახალი, უმაღლესი თანამდებობაც იმ ღვინითვე მიეულოცოთ.—გაუმართეს წვეულება. დღეს 2 საათზედ აქაურს სამეჯლისო დარბაზში შეიყარა მრავალი ხალხი. დარბაზი, საკუთრად ამ შემთხვევისათვის, საგანგებოდ იყო მორთული. ბატონი ჯომარჯიძე მობრძანდა სამის ნახევარზედა. ორი ხორო მემუსიკეთა დახვდა მუსიკის კვრითა. თავისებურის სასიამოვნო და დარბაისლურის ქცევით მიხეილ გრიგოლის ძე მიესალმა თავის მასპინძლებსა. მისი ხელ-ქვეითნიც დაუხვდნენ და მიეგებნენ, როგორც ყოვლად სასიამოვნო მეგობარსა.

ბევრი გულითადი სიტყვა ითქვა ამ სადილზედ; ბევრი სიკეთე და ღვაწლი გაიხსენეს მიხეილ გრიგოლის ძისა მისთა თანა მომსახურეთა; ამისი სრული აღწერა შორს წაგვიყვანს. თავადმა ივანე გიის ძემ ამილახვარმა წარმოსთქვა მხურვალე სიტყვა ბატონ ჯომარჯიძის ხან-გრძლივის სამსახურის შესახებ და ბევრი რამ კარგი სთქვა მის კაცთ-მოყვარეობაზე. გენერალმა პერლიკმა დაწვრილებით და მჰევრ-მეტყველებით ჩამოსთვალა ბატონის მიხეილის მოქმედება სამხედრო სამსახურის ასპარეზზედ 46 წლის განმავლობაში. ამათ გარდა, ერთმა თოფხანის უფროსმა, გვარად პოლკოვნიკომა წარმოსთქვა ის აზრი, რომ ბატონი ჯომარჯიძე, როგორც ხელთ-მძღვანელი მთელის რაზმისა, იყო შემაერთებელი და მკვიდრად შემაკავშირებელი სამის ურთიერთშორის დაუთანხმებელის ჯარისა, რომელიც შეადგენდა ერთს რაზმსა, ე. ი. თოფხანისა, ცხენოსნისა და ქვეითის ჯარისა. ვინც დაუკვირდება და წარმოიდგენს, რა დამღუპველია უთანხმოება ყოველს საქმეში და სამხედროში უფრო მომეტებულად, ის, რასაკვირველია, დააფასებს ღირსებას ბატონ ჯომარჯიძისასა.

ეს ნადიმი იმითი იყო კიდევ შესანიშნავი, რომ, როგორც ცხადათა სჩანდა, ამ დარბაზში მყოფნი დიდის სიყვარულით და პატივის-ცემით ექცეოდნენ თავის სარდალს.

ბატონმა ჯომარჯიძემ ამ ნაირის გულითადის პატივისცემისათვის დიდი მადლობა გადუხადა თავის მასპინძლებს. ბევრი ღვინო დაილია და ბევრი მრავალ-ჟამიერი ითქვა ამ სადილზედა, $3\frac{1}{2}$ საათიდგან დაწყობილი 6 საათამდე.

ნეტარია ის კაცი, ვინც თავის ცოდნით, პატიოსნებით, კაცთ-მოყვარეობით და კეთილ-მოქმედებით რომელსამე ასპარეზზედ შეიქმნება ღირსი ამისთანა გულითადის მადლობისა და ასეთივე განუსაზღვრელის პატივისცემისა.

მ. ყ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

„ნემეცი ისე გაღარიბდა, რომ 60 კაპ. მეტს ვეღარ იძლევა ჩვენს ქაღალდის მანათშიო.“ ვიღასაც უთხუნჯნია თურმე. ჩვენა გვგონია, უფრო მართალი და ნამდვილი იქნება, რომ ვსთქვათო: „ნემეცი ისე გაკადნიერდა, რომ მანათში 60 კაპ. მეტის მოცემა არ უნდა“, —ამბობს გაზეთი „Новости“ და შემდეგ განაგრძობს:

> იმისაც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ამ ფასს იძლევიან. გერმანიის გაზეთები არა ჰმალავენ და აშკარად ამბობენ, რომ ბერლინი თუ მოინდომებს, რა დროსაც უნდა, უფრო დაბლა დასწევს რუსეთის ფულის ფასსა. მოიგონეთო, გვეუბნებიან ნემეცები, ავლანის საქმე. მაშინ თქვენ ბისმარკს დაუჯერეთ, საქმე აზიაში გადიტანეთ, როგორც ჩვენ გირჩევდით და ამიტომ დიდი შემწეობაც აღმოგიჩინეთ, ყოველს ღონისძიებას ვხმარობდით, რომ თქვენ ფულს ფასი არ დაეკარგა. დღეს-კი, როდესაც ჩვენის კაცის, პრინც ბატენბერგის წინაამდეგ წახვედით და სცდილობთ თქვენი გავლენა აღადგინოთ ბალკანის ნახევარ-კუნძულზე, სადაც თქვენ საქმე არა გაქვთ და ჩვენ კი ხელს გვიშლით,—ჩვენ ვეცდებით წინ გადაგიდგეთ და თქვენის ფულის ფასს ისე დაბლა დავწევთ, რომ თქვენ თითონვე თავს დაანებებთ ამ საქმესა. თქვენი ქაღალდის მანათი ეხლა ღირს 60 კაპ.,— ჩვენ ვეცდებით 50 კაპ., 40 კაპ., 30 კაპ. დავიყვანოთ, თუ თქვენ თითონ არ მიჰხვდებით და არ დაჰრწმუნდებით, რომ ბისმარკთან ბრძოლას თქვენ ვერ შესძლებთ... დაგვიჯერეთ, ბოლგარიას თავი დაანებეთ, ჩვენ წინააღმდეგ ნუ მისდიხართ და თუ მართლა გსურთ გმირობა გამოიჩინოთ, გირჩევთ მდინარე ქუშკაზე გამოიჩინოთ თავი.

რა სასიამოვნოა, როდესაც ამისთანა მსჯელობას და რჩევა-დარიგებასა ჰკითხულობ ,—მერე სადა?—ჩვენ მეგობრების ნემეცების გაზეთებშიო, —ამბობს ბოლოს გაზეთი. რიღათი სჯობია ბერლინი ლონდონსაო?

⁂

გაზეთი „Московскія Вѣдомости“ ძალიან გაუჯავრებია შაქრის მწარმოებლების გაიძვერობას, თავ-გასულობას. გაზეთს ამის გამო რამდენიმე აზრი გამოუთქვამს , რომელსაც საზოგადო მნიშვნელობაცა აქვს.

> კაცს მართლა მტკიცე სარწმუნოება უნდა ჰქონდეს, რომ სასო-წარკვეთილებას არ მიეცესო, ამბობს გაზეთი. ჩვენს ცხოვრებაში ხშირად საკვირველი, უცნაური ამბები მოხდება ხოლმე,—და მერე ის ხომ არ გვაკვირვებს, რომ ეს ამბები ხდება, არა,—ის, რომ ამ გვარ ამბებს ჩვენ ისე ვუყურებთ, როგორც უმნიშვნელო, ჩვეულებრივ მოვლენას. ერთს ამბავს მეორე თან მოსდევს, და ჩვენ ისე გვგონია, რომ ეს ასეც უნდა იყოსო, ჩვენ ცხოვრებაში ეს აუცილებელი ამბავიაო. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ სწორედ თვით გაჭირების დროს „ჩვენიცა“ დაიჭექებს ხოლმე და გვიხსნის უბედურებისაგან. კიდევ ჩვენი ბედნიერება, რომ ჩვენს ერს დიდი სიმძლავრე და ჯანის სიმრთელე აქვს და ეს გვიხსნის ჩვენ, როდესაც რაიმე სამწუხარო მოვლენა შემოგვეპარება ხოლმე და ჩვენს ცხოვრებას არყევს. აი მაგალითად ავიღოთ „აღმოსავლეთის საქმე“, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის,—განა გაკეთდებოდა რამე, აწეწილი საქმეები რიგში მოვიდოდა, რომ მეხივით არ გაეჭექა მეფის სიტყვას? ამ სიტყვამ გამოაღვიძა რუსეთი, იმედი მისცა და დღესაც ამ იმედით გსულდგმულობთო.

⁂

არ ვიცით, რამდენად მართალია, და გაზეთი „С.-Петербургскія Вѣдомости“-ც გვარწმუნებს, ვითომ, ორის სამხედრო გემის გარდა, რომელიც ვარნაში უკვე გაგზავნილია, სახეში აქვთ სხვა გემების გაგზავნაც.

> როგორც გვარწმუნებენო,—ამბობს გაზეთი, ვარნაში გაუგზავნიათ ნალმის მისატანი გემი „Рени“. ამ გემს ამ ახლო ხანებში მიჰყვება გემები: „Виц-адмиралъ Поповъ“ და „Нижній Новгородъ“ და აგრეთვე ჯავშნიანი გემები: „Измаилъ“-ი , „Поти ,“ ‹Батумъ›-ი და სხვებიო.

ამასთანავე გაზეთები ამბობენ, ვითომ ინგლისსაც განზრახვა ჰქონოდეს ორი ჯავშნიანის გემის შავ ზღვაში გამოგზავნა, მაგრამ ოსმალეთს ნება არ მიუციაო.

ვნახოთ ყველა ამას რა მოჰყვება!...

უცხოეთი

ოსმალეთი. იმ ამბავმა, რომ რუსეთი და ოსმალეთი შეკავშირდნენო, დიდი აღიაქოთი ასტეხა ინგლისის გაზეთებ შორის. მაგალითებრ, „Times“-ი ამბობს: თუ მართლა ოსმალეთი რუსეთს შეუკავშირდა, მალიან გასაკვირველიაო. საზოგადოდ, ოსმალებს ხასიათადა სჭირთ, რომ დიდხანს ეჭვში არიან, ყოყმანობენ და ბოლოს აი რითი გაათავებენ ხოლმე: იმ სახელმწიფოს მიემხრობიან, რომლისაც უფრო ძალიან ეშინიანთო. ამ ჟამად რუსეთი ძალიან ძლიერი სახელმწიფოა, ოტტომანთა სახელმწიფოს დიდი სი-

---

აქედ გაუსხლტა, ხან იქით. ასტყდა ყვირილი, სიხარული, წამ-და-უწუმ ძახილი: «აჯან!» «ბარაქალა!» პატარა მოცეკვავეებმა თავი დაიწყებას მისცეს, გაწითლდნენ და თვალები ცეცხლით აენთოთ. უეცრად შესდგნენ, დოინჯი შემოიყარეს, წელში გადიხარნენ, ყელი მოიღერეს და ერთმანეთს ბაგენი მიუშვირეს საკოცნელად. ნელ-ნელა ისევ წელში გაიმართნენ, დაჰკრეს ფეხი და ტყვიასავით გაჰქრნენ. ბოლოს ერთი მოთამაშე შეხტა მაღლა, ხელები გაშალა, თავი გაიქნივა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ეჰ, რაც მომივა, მომივიდესო“, და გაექანა ვითომ თავის მოარშიყისკენ. თავი გვერდზე გადააგდო, თვალები აენთო, ცხვირის ნესტოები დაებერა, ტუჩები მოკუმა და ოდნავ ღიმილი უციმციმებდა, გულმკერდი აფორიაქებული ადიოდ-და დიოდა,—ერთის სიტყვით აღელვებულის გრძნობის სრული სურათი იხატებოდა... მუტრიბთა და საკრავებმა ხმა დაუშვეს, და წყნარად, ჩუმად, თითქოს შორს საიდანღაც, ნელი სიმღერა ისმოდა... მოთამაშე ლონე მიხდილი , თვალებ-დახუჭული გრძნობა-მიბნედილი და მილეული ძირს იწვა და ხელები აქეთ-იქით გადაეყარა.“

ჰარამ ხანაში ძრიელ მოსწონთ ასეთი თამაშობა და ყოველთვის აღტაცებაში მოდიანო. საკვირველიც არ არის: ქალებს, რომელნიც დამწყვდეულნი არიან და ჰამა-სმის მეტს არაფერს აკეთებენ , ასეთი გართობა მოეწონებათ, მით უფრო, რომ ამ გვარი სურათები ცოტათი მაინც ასხვაფერებენ ამათ ერთ-გვარს, შეურყეველს ყოფა-ცხოვრებას.

⁂

ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ ჰარამ-ხანაში სხვა გვარადაც ახერხებენ ცვლასა ცხოვრების ერთ-ნაირობისას. ვერც ხოჯები და ვერც სხვა სასტიკი წესები ვერ გაიმაგრებენ ადამიანის ბუნებას. ჰარამ-ხანაში დამწყვდეულნი ათას გვარ ხერხსა ჰხმარობენ, რომ ხოჯებიც და თავიანთ „ალებიც“ როგორმე მოატყუონ და წყურვილი გულისა მოიკლან. მეტადრე ბევრსა ჰშველიან ბებერი დედაკაცები, რომელთაც ჰარამ-ხანაში შესვლის ნება აქვთ; ვითომ ფერ-უმარილის გამსყიდავები არიან და სულ სხვა საქმეებს კი არიგებენ. უამათოდაც კი თვით ჰარამ-ხანაშიაც ახერხებენ თავიანთ „ალის“ ლალატსა. აი, მაგალითად, რას მოგვითხრობენ.

ერთი კალატოზი მიიყვანეს თურმე ჰარამ-ხანაში რიღაცის გასაკეთებლად. კალატოზს თავის შეგირდიც თანა ჰყვანდა. კალატოზი გამოვიდა და ხოჯაც თან გამოჰყვა. შეგირდი ამ დროს ისევ ჰარამ-ხანაში დარჩა, რადგან ჯერ რიგის ლოცვა არ შეესრულებინა. ჯერ ლოცვა არ გაეთავებინა კალატოზის შეგირდსა, რომ რამდენიმე დედა-კაცი თავს დაესხა, შეათრიეს შიგნით ოთახებში და სადღაც მიჰმალეს. ესრე უცბად დატყვევებული შეგირდი ათი დღე ჰყვანდათ ჰარამ-ხანაში და მერე გამოისტუმრეს, ფანჯრიდამ თოკებით ჩაუშვეს ქუჩაში. საწყალ კალატოზის შეგირდს კაცი ვეღარ იცნობდა თურმე: მკვდარს დაჰმგზავსებოდა, სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო.

⁂

ჰარამ-ხანიდამ იშვიათად გამოვა გარედ სპარსელის ცოლი თუ ქალი. და თუ გამოვიდა, სქელი პირ-ბადი უნდა ჰქონდეს პირზე ჩამოფარებული. სპარსეთში დიდ სირცხვილად და უკადრისობად მიაჩნიათ, რომ ქალის პირის-სახე კაცმა დაინახოს. პირ-ბადე მხოლოდ თვალებისთვის არის ორგან ამოჭრილი...

სხვა შემთხვევაში, არამც თუ ჰარამ-ხანაში, იმ სახლშიაც კი, სადაც სპარსელი დედაკაცი სტუმრად მიდის, კაცი არ უნდა იყოს. ზოგიერთი განათლებული სპარსელი ამ ბოლოს დროს ნებას აძლევს თავის ცოლს ევროპიელ ქალებთან იაროს სადარბაზოდ, მაგრამ რა სიფრთხილით კი. აი, მაგალითად, ამისთანა შემთხვევა ყოფილა.

ერთის წარჩინებულის სპარსელის ცოლი ევროპიელთან სტუმრად წავიდა. ეტლი მძიმედ და წყნარად მიდიოდა. როდესაც ეტლი მძიმედ და წყნარად მიდის, ეს დიდ-კაცობის ნიშანია. ეტლს აქეთ-იქით ორი ხოჯა ედგა მათრახებით ხელში. ეტლში ჩადრში შეხვეული და პირბადე ჩამოფარებული ქალბატონი იჯდა. მაგრამ ვაი ამ ქალბატონის დღეს, თუ პირბადს როგორმე აიხდის და შეჰხედავს ვისმე. ერთგული ხოჯა ვერ მოითმენს თავის „ალის“ ასეთს გაუპატიურებას, არ მოერიდება ქალბატონს და მათრახსაც შეჰკადრებს. მივიდა ეტლი სახლთან. მინამ ქალბატონი გადმობრძანდებოდა , ხოჯამ იკითხა, სახლში კაცი ხომ არ არისო. როდესაც დარწმუნდა, რომ ზემო სართულში არავინ არისო, ქვემოდ ჩავიდა და იქ რამდენიმე კაცი ნახა. ხოჯამ ზდილობიანადა სთხოვა, სახლიდამ წასულიყვნენ: ვინ იცის, ჰერი იქნება ისეა გაკეთებული რომ ჩემი ქალბატონი დაინახოთო . ხოჯა ზდილობიანად მოექცა ამათ იმიტომ, რომ დიდ-კაცები იყვნენ, თორემ სხვებს მათრახით გაჰრეკდა.

⁂

თუმცა ზემოდ ნათქვამიდამ ცხადადა სჩანს, რომ სპარსეთში ქალის ყოფა-ცხოვრება ქმრის ხელში არაფერი სანატრელია, მაგრამ ყველა ქალი მაინც იმასა ნატრულობს, რომ უთუოდ ქმარი ჰყვანდეს. მაგალითად, რუსეთის საელჩოში თეირანში ერთი ქალი მოსამსახურედ იყო და ცოტაოდენი ფულიცა ჰქონდა თურმე შეგროვილი. თუმცა ამ ქალს ოცი ქმარი გამოეცვალა და ცოლ-ქმრობის ბედნიერებაც გამოეცადო, მაგრამ მაინც სულ იმასა ჰფიქრობდა, ეგები კიდევ როგორმე გავთხოვდეო.

ეს გარემოება პირველად სასაცილოდ ეჩვენება კაცს, მაგრამ ამასაც თავის საფუძველი აქვს: დიდის ხნის განმავლობაში სპარსეთის ქალი ისე მიჩვეულა სხვის ანაბარად ყოფნას, სხვის თვალში ყურებას, სხვის მბრძანებლობას, რომ თუ ქმარი, ე. ი. მბრძანებელი არა ჰყავს, თავის თავს ობლად, უბედურადა სთვლის.

რაც ზემოდ ვილაპარაკეთ, ეს სულ დიდ-კაცობაზე და შეძლებულ სპარსელებზე ითქმის. რაც შეეხება მდაბიო, სოფლის ხალხს, სპარსეთშიაც, როგორც ჩვენში და ევროპაში, მამა-კაცს ერთი და იგივე უფლება აქვს, ცოლსა და ქმარს შუა დიდი განსხვავება არ არის. სპარსელ გლეხ-კაცის ცოლი თავისუფლად დადის მინდორში და იმ ნაირადვე ჰმუშაობს, ირჯება, როგორც მამა-კაცი.

ასე ამრუდებს ადამიანის ბუნებას სიმდიდრე, უქმი და განცხრომილი ცხოვრება და ჰბადავს იმ სამწუხარო მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიც დღეს სპარსეთის ქალები არიან. განა მარტო სპარსეთშია ასე? განა თვით განათლებულს ევროპაში არა ვხედავთ, რომ იგივე მიზეზი ჰრყვნის ადამიანის ბუნებას, თუმცა ეს გარყვნილება აქ სულ სხვა გვარად იხატება?

დონ-იაგო

ფრთხილე ჰმართებს და აი ამ დროს-კი ოსმალეთის სახელმწიფო კაცთ იმის მეტი ვერა მოახერხეს-რა, რომ თავის დაუძინებელს მტერს მიემხრნენო. ბოლგარების მადლიერი უნდა იყოს ოსმალეთი, რომ ჯერ-ჯერობით კიდევ მაგრად სდგასო. ბოლგარები თავიანთის საკუთარის საქმისთვის იბრძვიან და ამ ბრძოლით-კი ოსმალეთსაც იხსნიან დიდ განსაცდელითგანაო. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ძნელად თუ პორტა მიჰხვდეს და შეიგნოს ესაო. ოსმალეთისათვის უფრო სასარგებლო იყო—და სამართლიანადაც მოიქცეოდა,—რომ ბოლგარებისათვის მიეწვდინა ხელი შველისაო. ოსმალეთი ჯერ კიდევ ბოლგარიის უმაღლესს მფარველად ითვლება; ბოლგარიის კეთილ-დღეობა ოსმალეთის კეთილ-დღეობაა. არც ერთი სახელმწიფო ხმას არ ამოიღებდა და წინააღმდეგობას არ გამოაცხადებდა, ოსმალეთი რომ ბოლგარებს მიმხრობოდა და რაიმე ღონე ეხმარა მათის დამოუკიდებლობის დასაცველადა; პირ-იქით, დიდს სახელსაც მოიპოვებდა ევროპაში, და მერე ამის მაგიერ რა ჰქმნა ოსმალეთმა, როგორ მოიქცა? ჯერ მთელი წელიწადი ყოყმანსა და გაუბედაობაში იყო და ბოლოს სისულელე ჩაიდინა და თავისი ყოყმანი და გაუბედაობა იმითი დაამთავრა, რომ ბოლგარებს წინააღუდგა და შველის მაგიერ, მტრობა დაუწყოვო. ეხლა პორტას ბოლგარიის სარეგენტო მთავრობის გაუქმება სწადიან, მაგრამ დავარწმუნებთ, რომ ამით ვერაფერს გაარიგებს და თუ არას დაჰკარგავს, არ მოიგებსო. რუსეთის-მიერ ჯარების ჩაყენება ბოლგარიაში სასიკვდილო განაჩენია ოტტომანთა სახელმწიფოსი და ის ამბავიც-კი, რომ რუსეთმა ბოლგარიაში გავლენა მოიპოვოს, დააჩქარებს და გაადვილებს ოსმალეთის სრულიად დამხობასაო. ყველამ, ვინც-კი თვალ-ყურს ადევნებს როგორც რიგია ოსმალეთს, დიდიხანია დაჰკარგეს იმედი და აი რა აზრისანი არიან ამ სახელმწიფოზედაო: ოსმალეთი გონიერად არას დროს არ მოქცეულა და არც ეხლა მოიქცევა და ბოლგარების დამოუკიდებლობას არ წაესარჩლებაო. ხოლო თუ მართალია ის ამბავი, რომ ოსმალეთი რუსეთს მიმხრობია, ბევრს გააოცებს და ერთხელ კიდევ დაარწმუნებს, რომ ოსმალეთი დიდს გამჭრიახობას ვერ იჩენს პოლიტიკაშიო.

ამავე საქმის გამო ლიბერალური გაზეთი „Daily News“-ი ამბობს: თუ მართლა ოსმალეთი თავის მტერს მიმხრობია და შეკავშირებია, ეს კავშირი მეტად არევდარევს და გააბარდებს ბოლგარიის პოლიტიკურს მდგომარეობასაო. რაკი რუსეთი ბოლგარიაში ფეხს შესდგამს და ჯარებს ჩააყენებს, სტამბოლსაც ადვილად დაიჭერსო.

«Morning Post»-ის აზრით-კი, უფრო იმის შიში უნდა გვქონდეს, რომ ამ შეკავშირებამ ავსტრი-ვენგრიაც არ ააყაყანოს და მოედანზედ არ გამოიყვანოსო. ამას მით უფრო უნდა მოველოდეთ, რომ ავსტრი-ვენგრიაში აი რა აზრისანი არიან: თუ რუსეთი ბოლგარიაში ფეხს მოიკიდებს, მაშინ ავსტრი-ვენგრიის სახელმწიფოს ერთიანობას განსაცდელი მოელისო. ვიდრე რუსეთი მარტო იყო და ბოლგარებზედ იმდენი გავლენა არა ჰქონდა, ავსტრი-ვენგრია დამშვიდებული იყო და შეეძლო გულ-ხელ-დაკრეფილი ეყურებინაო; ხოლო თუ რუსეთი და ოსმალეთი შეკავშირდნენ, სულ სხვა იქმნებაო.

გაზ. „Standard“-ი სწერს: «ძნელად მისახვედრია, რად გადუდგა სულთანი ძველს პოლიტიკას და ან რის იმედი აქვს, რომ ასე იქცევაო. იქმნება ამ გზით უნდა შეაშინოს სხვები და ისე მოაგვაროს საქმე, რომ ინგლისმა, ავსტრი-ვენგრიამ და სხ. უფრო მეტი შემწეობა გაუწიონ, ვიდრე აქამდინ უწევდნენო. ჩვენ არა გვჯერა, რომ ოსმალეთმა რუსეთს ნება მისცეს და დარდანელის სრუტეს ახლო ამყოფოსო. შეიძლება სულთანი და მისი მინისტრები იმიტომ ეფერებოდნენ რუსეთსა ბოლგარიის საქმეში და წინააღმდეგობას არ უწევდნენ, რომ იმედი ჰქონდეთ, სამაგიეროდ საჩუქარს მივიღებთო. რუსეთს რომ შეეძლოს ოსმალეთის ევროპის ნაწილის ხელშეუხებლობა აღუთქვას სულთანსა, მაშინ აღმოსავლეთის საქმე ადვილად გადასწყდებოდა და წესსა და რიგში მოვიდოდაო. მაგრამ რუსეთს მხოლოდ ის შეუძლიან დაჰპირდეს ოსმალეთსა, რომ მე ხელს არ გახლებ შენს სახელმწიფოსაო. არ გვესმისო, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი, სტამბოლის სახელმწიფო კაცთ როგორ არ იციან, რომ რუსეთის მიერ ბოლგარიაში გავლენის მოპოვება იმაზედ უარესი იქმნება ოსმალეთისთვის, რომ რუსეთმა ოტტომანთა სახელმწიფოს ომი გამოუცხადოსო.

ინგლისას დედოფლის გაზეთი. „St. James Gazette“-ი თავის წერილს რუსეთისა და ოსმალეთის კავშირის გამო ამ სიტყვებით აბოლოვებს: «ჩვენთვის ეს კავშირი ძალიან საწყენი უნდა იყოსო. ჩვენ ამის თქმით მარტო ეგვიპტე არა გვაქვს მხედველობაშიო, თუმცა ძალიან კარგად ვიცით, რომ რუსეთი და საფრანგეთი სულ იმას ჩასჩიჩინებენ ოსმალეთს: ინგლისს მოსთხოვე, რომ ჯარები გამოიყვანოს ეგვიპტიდამაო, ინგლისი გააძევე ამ ქვეყნიდამაო. ესეც რომ არ იყოს, რუსეთისა ოსმალეთის კავშირი სხვა მხრივაც საზიანოა ჩვენთვისაო, თუ გინდა ამ კავშირში საფრანგეთი არც-კი ერიოსო. ასეა თუ ისე, ის კი ნამდვილია, რომ ამ კავშირს შეიძლება საშინელი ბოლო მოჰყვესო. რომ როგორმე აიცილოს ევროპამ ამ კავშირით გამოწვეული არევ-დარევა და განსაცდელი, აი რა საშუალება უნდა იხმაროსო: გერმანია, იტალია, ავსტრი-ვენგრია და ინგლისი შეერთდნენ ერთად და საქვეყნოდ გამოაცხადონ, რომ იმ სახელმწიფოს, რომელიც მშვიდობიანობას დაარღვევს, ჩვენთან ექმნება საქმეო. ეს არის ერთად ერთი საშუალება, ამის იქით სხვა გზა არ არის, რომ დამგლავებული და საომრად გამზადებული რუსეთი და ოსმალეთი როგორმე დაამშვიდონ და თავის ქერქში ამყოფონო.»

* * *

დეპეშა

23 ოქტომბერი

სოფია. იმის გამო, რომ გარეთგან შველა არ საიდამ ეძლევათ, დღე-დღეზედ მოელიან, რომ რეგენტები და მინისტრები სამსახურს თავს დაანებებენო. ვარნაში მკვიდრნი და ბოლგარიის ჯარის-კაცნი სიამოვნებით ეგებებიან აქ მოსულ რუსის მატროსებსა.

24 ოქტომბერს

პეტერბურგი. რუსეთის ელჩი სპარსეთში მელნიკოვი სენატორად არის დანიშნული. სააზიო ნაწილის უმთავრეს შტაბის გამგებლის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი პუტიატა სამხედრო აგენტად არის დანიშნული ჩინეთში.

რადგან ხმები გავრცელდა, ვითომ განზრახვა აქვთ საბაჟო ტარიფი შესცვალონო, ამის გამო ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ მას სახეში არა აქვს იშუამდგომლოს და ბაიხის ჩაის ბაჟი მოუმატოსო.

საკალენდარო ცნობანი

ოქტომბერი 31 დღით არის.

25 დღე შაბათი. წმ. მოწ. მარკიანე, მარტირი და ანასტასიასი. კათოლ. დღის ღვთის-მსახურება. სომეხ. წმ. 12 მოძღვართა: იერათეოს და სხვათა. ჭეშმარიტი შუადღე 11—43—46. ტფილისში მზე ამოდის 6—38, ჩადის 4—49, მთვარე ამოდის 2—42, ჩადის 12—51.

26 დღე კვირა. დიდ. მოწ. დიმიტრისა. სომეხ. პოვნა წმ. ჯვარისა. ჭეშმარიტი შუა დღე 11—43—50. ტფილისში მზე ამოდის 6—38, ჩადის, 4—48; მთვარე ამოდის 3—5, ჩადის 1—53.

27 დღე ორშაბათი. წმ. ნესტორისა. კათოლ. დღის ღვთის მსახურება სომეხ. წმ. ანასტასია მღვდ. და სხვ. ჭეშმარიტი შუა დღე 11—43—54. ტფილისში მზე ამოდის 6—40, ჩადის 4—47; მთვარე ამოდის 3—34, ჩადის 2—44.

პეტერბურგის ბირჟა, 21-ს ოქტომბერს 1886 წ.

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
სუთ მანეთიანი ოქრო	—	—	8 მ. 63 კ.
ტამოჟნის კუპონები.	—	—	167½ მან.
5% პირველის შინაურის სესხის მომგები ბილეთი	—	—	238¾ მან.
— მეორისა	221 მან.	—	—
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	—	97 მან.	—
ქუთაისის ბანკისა	—	97 მან.	—

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი .	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები . .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . . .	10	21	10	27
კასპი. . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი .	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი . .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	**სამტრედია**	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი.	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	**ყვირილა** .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა . .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი .	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		სალამოთი			
	სალამოთი				სურამი. . .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	**ხაშური** . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . .	6	59	7	3
სამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	**გორი** . . .	7	59	8	9
ნიგოითი . .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . . .	9	22	9	24
ნატანები . .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი .	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	**ტფილისი** .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	**ხაშური** . .	2	47	3	2
მცხეთა. . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	**გორი** . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	სალამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	**ტფილისი** .	8	24	—	—

გამოსადეგი ცნობანი

ნახრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› › 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — . . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

კავკასიის სამეურნეო საზოგადოება მოიწვევს ბ-ნთ წევრთ მორიგ საზოგადო კრებაზედ, რომელიც დანიშნულია ორშაბათს, 27 ოქტომბერს, 7½ საათზე.

საგანნი განხილვისა:

1) საქმენი საზოგადოებისანი. 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1885 წლისა. 3) მოხსენება კომისიისა სამეურნეო გამოფენის გამო ტფილისში. 4) მოხსენება წევრის ე. ნ. გეევსკისა მსხლის ავად-მყოფობაზედ ალაგირში.

(2—1)

16 მომავალს ნოემბერს, დილის 10 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დანიშნულია საგანგებო კრება წევრთა «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა განსახილველად: ა) ბათუმის სკოლის საქმისა, ბ) წიგნების ბეჭდვისა და გ) ახალთა წევრთა ამოსარჩევად იმათ მაგიერ, რომელთაც ქალაქ გარედ ცხოვრებისა გამო აღარ შეუძლიანთ მართველობის წევრის თანამდებობის აღსრულება.

(5—3)

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ГРУЗИНСКАЯ РѢЧЬ

или начальный курсъ грузинскаго языка для русскихъ, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 35 კაპ.

იქვე ისყიდება „**ქართული ქრისტომატია**“ უმცროსს კლასებში სახმარებელი. მიხ. ნასიძისა. ფასი 70 კაპ.

ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას პირდა პირ გამომცემლისაგან, მას მანეთზე 20% დაეთმობა. (10—8)

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—22)

Дозволено цензурою. Тифлисъ 24 октября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილის, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე